საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-904

07/10/2020

ქ. თბილისი

2020-2021 წწ. გარეულ ცხოველთა იმ სახეობების ჩამონათვალის დადგენის შესახებ, რომელთა რაოდენობის რეგულირების ღონისძიება მუნიციპალიტეტებმა შესაძლებელია განახორციელონ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე

„გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N574 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დადგინდეს გარეულ ცხოველთა იმ სახეობების ჩამონათვალი (ასევე, მათი გარემოდან ამოღების კვოტები და ვადები), რომელთა რაოდენობის რეგულირების ღონისძიება, მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის, ინფრასტრუქტურისა და სამეურნეო საქმიანობისათვის ზიანის თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისმა მუნიციპალიტეტებმა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია განახორციელონ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე:

ა) მგელი - საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, თითოეული მუნიციპალიტეტის შემთხვევაში 5 ინდივიდის რაოდენობით, 2020 წლის 15 სექტემბრიდან 2021 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდისათვის;

ბ) ტურა - საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, თითოეული მუნიციპალიტეტის შემთხვევაში 10 ინდივიდის რაოდენობით, 2020 წლის 15 სექტემბრიდან 2021 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდისათვის.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან, გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულირების ღონისძიებები განახორციელონ „გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N574 დადგენილებით დამტკიცებული წესით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

3. ეს ბრძანება შეიძლება, გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი